ინფორმაცია მედიისთვის

მიმდინარე წლის 18 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიმდინარეობს საზაფხულო სკოლა ადვოკატის პრაქტიკულ უნარებში, რომელსაც უძღვებიან ქართველი და ამერიკელი პროფესორები.

საზაფხულო სკოლა ორგანიზებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (Eeast-West Management Institute) მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (Judicial Independent an Legal Empowerment Project) თანამშრომლობის ფარგლებში.

მასში მონაწილეობს თსუ-სა და სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა იურიდიული ფაკულტეტების 20 სტუდენტი, რომლებიც სპეციალური კონკურსის მეშვეობით, დამოუკიდებელი კომისიის მიერ იქნენ შერჩეულნი.

29 ივლისს, 17:30 საათზე თსუ II კორპუსში, იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში (I სართული) გაიმართება იურიდიული ფაკულტეტის საზაფხულო სკოლის დახურვის ცერემონია, რომლის დროსაც პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეაფასებენ
საზაფხულო სკოლის მუშაობის შედეგებს და მის მონაწილეებს სპეციალურ სერტიფიკატებს გადასცემენ.

Press Release

Summer School on Lawyers' Practical Skills is being conducted at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Law and is led by the Georgian and US professors from 18 to 29 July, this year.

This Summer School is organized under the partnership between the Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Law and the East-West Management Institute's Judicial Independent and Legal Empowerment Project (JILEP) in Georgia, granted by the United States Agency for International Development (USAID).

Twenty students from law faculties of TSU and other accredited high educational institutions participated in it. They have been selected through the open competition by the independent selection commission.

Representatives of partner organizations will assess the outcomes of the summer school and award certificates to the participants during the closing ceremony which will take place at the Law Faculty library, TSU II building (first floor) at 17:30 pm, July 29, 2011.